

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — დიად სოციალისტურ სამშობლოს, მოძმე ხალხთა ურღვევ, მრავალეროვან თანამეგობრობას, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ცოცხალ განსახიერებას!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

1972 წ.
№ 259 (4769) 30 დეკემბერი, შაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან





გ. იაშვილის ნახატი.

# მეგობრობა გზად და ხიდად...

## ახალი წარმატებების საწინდარი

მეგობარს განსაცდელის ჟამს გაიცნობო, ნათქვამია. სწორედ ასეა. ა. კუშნირთან მსოფლიო პირველობაზე 1965 წლის მატჩის დროს რიგაში, მართალია, განსაცდელში არ ჩავვარდნილვარ, მაგრამ უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში კარგი თეორეტიკოსის დახმარება ნამდვილად მჭირდებოდა. ასეთი დამხმარეც გამოჩნდა: ლატვიელი მოჭადრაკე აივარ გიპსლისი. სიძნელეები დავძლიე, ჩემპიონობა შევინარჩუნე და გიპსლისს დავუმეგობრდი.

ა. კუშნირთან მეორე მატჩის დროს (1969 წელი, თბილისი — მოსკოვი) აივარი მწვრთნელად მოვიწვიე. ის უკვე სახელგანთქმული დიდოსტატი და ჟურნალ „შახმატის" რედაქციის თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი იყო (ახლა რედაქტორია), ჩვეული მუყაითობით მამეცადინებდა. ვგრძნობდი, რომ საქმეს გულწრფელად, პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით ეკიდებოდა. შედეგიც სასურველი იყო: მეტოქეს სადებიუტო ქიდილში ვძლიე.

წლევანდელ მატჩში ა. კუშნირთან გიპსლისი ჩემი სეკუნდანტიც იყო და მწვრთნელიც. ვემზადებოდი მის მშობლიურ რიგაში, სადაც მატჩიც შედგა. ჩვენმა შემოქმედებითმა კავშირმა კვლავ გამარჯვება მოგვიტანა.

დიახ, ჩემი და აივარის საჭადრაკო თანამშრომლობა ორი მოძმე-ერის შვილების ჭეშმარიტი მეგობრობის გამოხატულებაა. ახლა გიპსლისი ჩემი ოფიციალური მწვრთნელია. ჩვენ ხშირი მიმოწერა გვაქვს, ვხვდებით ერთმანეთს. ვფიქრობ, ეს მეგობრობა ახალი წარმატებების საწინდარი იქნება.

ნ. გაფრინდაშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი.

## ჩვენ ერთმანეთის მემკვიდრეები ვართ

მუდამ მეამაყება, როცა ჭიდაობის მანერით ფალავანთა ქართულ სკოლას მიმაკუთვნებენ. ეს არცაა გასაკვირი. თქვენს სკოლას პატივს სცემენ და სამაგალითოდ მიიჩნევენ მთელს მსოფლიოში. სხვას ვისა ჰყავს კარტოზია, ბალავაძე, რურუა, რუბაშვილი... დიახ, ჩემთვის საამაყოა ისიც, რომ სპორტულ სარბიელზე შესანიშნავი ქართველი მოჭიდავე გურამ სალარაძე შევცვალე. მე მგონია, გურამი ვერ დამემდურება, მე შეძლებისდაგვარად გავაგრძელე მის მიერ გაკაფული გზა.

ამბობენ, ისტორია მეორდებაო. და აი, 1971 წელს ლევან თედიაშვილმა დაიკავა საბჭოთა ქვეყნის ნაკრებში ჩემი ადგილი. არასოდეს დამავიწყდება ჩემი და ლევანის შეხვედრა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში. მაშინ ლევანმა იმარჯვა და ეს გამარჯვება პირველმა მე მივულოცე, რადგან ღირსი იყო ამისა. ღმერთმანი, ოქროსავით ბიჭმა შემცვალა.

სულითა და გულით ვამხნევებდი ლევანს სოფიის 1971 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, მეგობრულად ვარიგებდი. რაც უნდა იყოს, ლევანი ახალბედა გახლდათ მსოფლიო სარბიელისთვის. მე მისთვის უფროსი მეგობარი ვარ, ის კი, ნუ ეწყინება ლევანს, ჩემი „სპორტული მემკვიდრეა". განა არ მეორდება ჩემი და გურამ სალარაძის უწინდელი ურთიერთობა? ასევე მამხნევებდა სალარაძე, ასევე ზრუნავდა ჩემი შემდგომი დაოსტატებისთვის. ამას ჰქვია ძმობა და მეგობრობა!

მერწმუნეთ, ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა ლევანის წარმატება მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში. ალბათ გამიგებთ, მე და გურამმა ვერ შევძელით მიგვეღწია ყველა სპორტსმენისთვის სანუკვარი მიზნისთვის — ოლიმპიური ჩემპიონობისთვის, ლევან თედიაშვილმა კი შეძლო. ორმაგად სასიხარულოა-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ, როგორც უკვე ვთქვი, ლევანი გურამისა და ჩემი მემკვიდრეა.

ი. შახმურადოვი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი,
ევროპისა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი.

## მე მჯერა მისი

ჩემი თაობის ბიჭების ოცნება ველოსიპედი იყო. შეიძლება ახლანდელ ნორჩებს გაეცინოთ კიდეც, მაგრამ ეს ასეა. ჩვენ გამოვიარეთ მკაცრი ომის შემდგომი წლები. ბევრი რამ გვაკლდა მაშინ, მაგრამ ამან გამოაწრთო თაობა, ასწავლა სიძნელეებთან ბრძოლა, იმ პატარა სიხარულის დაფასება, რომელსაც, გაჭირვება თუ არ ნახე, ვერ გაიგებ. აი, რატომ იყო ასეთი სანუკვარი ჩვენთვის ველოსიპედი.

იყო და არის. მერე დაიწყო სპორტული სიმწიფის პერიოდი. გამარჯვებები, სიხარული და ზოგჯერ მარცხიც. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ჩემს მეგობრობას ომარ ფხაკაძესთან, რომელსაც დღემდე ასეთი სითბოთი ვიგონებ.

დროს თავისი მიაქვს, მაგრამ მე ახლაც არ მეგულება ასეთი იშვიათი მონაცემების მქონე სპრინტერი. იგი სჯობს მორელონსაც და სხვებსაც. დამერწმუნეთ! ოღონდ მეტი ტაქტიკური სიფხიზლე, თუ გნებავთ, მეტი ეშმაკობაა საჭირო. სხვა მხრივ ჩვენი ჩემპიონი და ჩემი უახლოესი მეგობარი უძლეველია. ვიმეორებ: მე მჯერა მისი, მჯერა ჩვენი მეგობრობისა და სპორტის ცხოველმყოფელი ძალისა.

ი. ბოლდნიეკსი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი.

# ბრძანებულება
## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შექმნასა და განმტკიცებაში, სოციალისტური ერებისა და ეროვნებების მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის განმტკიცებაში საქართველოს სსრ მშრომელთა დიდი დამსახურებისთვის, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.

1972 წლის 29 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





## ლენინგრადელთა ათეული

ლენინგრადი, 28 დეკემბერი. ადგილობრივმა ჟურნალისტებმა 1972 წლის სეზონის მიხედვით განსაზღვრეს ნევისპირა ქალაქის 10 საუკეთესო სპორტსმენი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველ ათეულში 7 ოლიმპიური ჩემპიონი შევიდა.

აი, ეს ათეულიც: ა. ბელოვი (კალათბურთი), ლ. პინაევა (ნიჩბოსნობა), ნ. ჩიჟოვა, ი. ტარმაკი (ორივე — მძლეოსნობა), ი. კიზიმოვი (ცხენის გაწვრთნა), ა. როშჩინი (კლასიკური ჭიდაობა), რ. საფინი (სათხილამურო სპორტი), ა. კარპოვი (ჭადრაკი), გ. ლეონტიევა (ფრენბურთი), ვ. პერვუშინი (ძალოსნობა).

# „ლოკომოტივი“ — თბილისის ჩემპიონი

თბილისის რეგბისტთა წლევანდელმა პირველობამ ექვს კოლექტივს მოუყარა თავი. გუნდებს საასპარეზოდ მიუჩინეს „ისნის“ სტადიონი, სადაც ქალაქის რანგის კი არა, საერთოდ არავითარი სპორტული ღონისძიების ჩატარება არ შეიძლება — არც საშხაპეებია, არც გასახდელები, არც სამედიცინო დახმარება...

ზემოთქმულის მიუხედავად, შეჯიბრება ჩატარდა და დიდი ინტერესიც გამოიწვია. ტურნირში რესპუბლიკის ორი წამყვანი გუნდის—„ლოკომოტივისა“ და „დინამოს“ მონაწილეობამ მწვრთნელებს საშუალება მისცა სელექციის მიზნით რანგით უფრო დაბალი გუნდების რეგბისტთა თამაშის კლასს დაჰკვირვებოდნენ, თვით მოთამაშეებს კი შესაძლებლობა მიეცათ თავი გამოეჩინათ და ოსტატთა გუნდებში მოხვედრილიყვნენ. ეს მატჩებს დაეტყო: თითქმის ყველა შეხვედრა უშეღავათო ბრძოლაში მიმდინარეობდა: „ლოკომოტივი“ უნივერსიტეტის გუნდთან პირველ ტაიმს აგებდა, დინამოელები პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან დამარცხებას გადაურჩნენ. ბოლოს თბილისის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად ერთმანეთის პირისპირ მაინც ეს ორი მოწინავე კოლექტივი — საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი „ლოკომოტივი“ და 1973 წლის ჩემპიონატის დებიუტანტი „დინამო“ დადგნენ.

ეს კოლექტივები რესპუბლიკისა თუ ქალაქის პირველობებში უკვე მერამდენედ ეცილებიან ერთმანეთს უძლიერესის სახელს. სწორედ ამ სპორტული დავის შედეგია საკავშირო სარბიელზე მოპოვებული. წლევანდელი წარმატებები.

ლიდერთა თამაში ყოველგვარი დაზვერვისა და ძალთა მოსინჯვის გარეშე დაიწყო. ინიციატივას თავიდანვე რკინიგზელი რეგბისტები დაეუფლნენ. მათ აქცენტი მარაოს გათამაშებასა და სწრაფ გარღვევებზე გადაიტანეს. დინამოელები მასირებული შერკინებითა და ფეხით თამაშით ცდილობდნენ ბურთის შეტანას ლოკომოტიველთა რიგებში. მერე თამაში გათანაბრდა.

პირველი ტაიმის მე-18 წუთი. ლოკომოტიველები დაჯარიმდნენ. ვ. აბაშიძემ დინამოელები დააწინაურა — 3:0.

მარცხმა რკინიგზელები ვერ დააბნია. მათ იერიში მიიტანეს დინამოელთა ჩათვლის მოედანზე. მარცხენა ფრთაზე რუხაძემ და ჯაფარიძემ კომბინაცია გაითამაშეს და ჯაფარიძემ ბურთი „დინამოს“ ჩათვლის მოედანში დადო — 4:3. შესვენებამდე მოდებაძე დაჯარიმდა და აბაშიძემ კვლავ დააწინაურა „დინამო“ — 6:4.

შესვენების შემდეგ მოედნის სრული ბატონ-პატრონები ლოკომოტიველები გახდნენ. ბენდიაშვილი — ხარშილაძის კომბინაციის შემდეგ ანგარიში გახდა 8:6. იქვე კილასონიამ ზუსტად გამოიყენა რეალიზაცია — 10:6. შემდეგში რკინიგზელებმა კილასონიამ, თენგიზ რუხაძემ და ხარშილაძემ ანგარიში 21:6-მდე აიყვანეს, რასაც დინამოელთა მხრიდან ერთი საჯარიმოს რეალიზაცია მოჰყვა (ბურთი ისევ აბაშიძემ გაიტანა). 21:9 — ასე დამთავრდა ეს საინტერესო მატჩი, რომელმაც „ლოკომოტივს“ ქალაქის ჩემპიონის საპატიო სახელიც მოუტანა.

III ადგილზე გავიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეგბისტები.

სასიამოვნოა შეჯიბრებაში „განთიადის“ გუნდის მონაწილეობა. „განთიადის“ კოლექტივი საქართველოში რეგბის განვითარების პიონერი იყო. წლების განმავლობაში ეს გუნდი ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდა სხვადასხვა შეჯიბრებაში, მაგრამ მერე ჩამორჩა. ამ სამი წლის წინ კი საერთოდ დაიშალა.

შეიძლებოდა ამით დაგვემთავრებინა საქალაქო ჩემპიონატზე საუბარი, მაგრამ რეგბის ხვალინდელი დღე ყველას გვაწუხებს, ამიტომაც შემთხვევით ვსარგებლობთ და გვინდა ორიოდე შენიშვნა გამოვთქვათ:

საკავშირო მატჩების გამართვის საქმეში წლეულს წინა წლებთან შედარებით წინსვლა იგრძნობა: შეხვედრები „ლოკომოტივის“ სტადიონის მთავარ სარბიელზე ჩატარდა, სპორტული პრესა მატჩებს სისტემატურად აშუქებდა. რეგბის პოპულარიზაციაში, მართალია, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ კარგი სამსახური გაგვიწია საქართველოს ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქციამ. მაგრამ ამ სახეობის პროპაგანდისთვის ეს წვეთია ზღვაში. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი საზრუნავი გვაქვს.

წლები გადის. რეგბის რესპუბლიკური და საქალაქო ფედერაციები, რომელთა უპირველეს მოვალეობას საქალაქო თუ რესპუბლიკური მასშტაბის პირველობებისა და სხვადასხვა ტურნირის მოწყობა, საზღვარგარეთის მოწინავე გუნდებთან კავშირის დამყარება და ბევრი სხვა საორგანიზაციო საკითხის მოგვარება შეადგენს, მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ.

თ. ჯაფარიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# ოლიმპიური ლაურეატი აბსოლუტური ფალავანია

უკვე ტრადიციად იქცა ყოველი წლის ბოლოს თბილისის სპორტის სასახლეში გამოჩენილი ქართველი ფალავნის სანდრო კანდელაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონატის ჩატარება ქართულ ჭიდაობაში. გუშინწინ დამთავრდა მორიგი ასეთი ტურნირი, რომელშიც თბილისის, გორის, თელავის, ქუთაისის, კასპის, ლაგოდეხის, ყვარლის, ახმეტის, გურჯაანისა და ცხინვალის 30-მდე ფალავანი მონაწილეობდა.

ჭიდაობის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია ძიუდოში მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, გორელი ათლეტის შ. ჩოჩიშვილის გამოსვლამ. მან გაამართლა თავისი მაღალი წოდება და მაყურებლების მქუხარე ტაშის ქვეშ ტურნირის მთავარი ჯილდო დაიმსახურა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქვეჯგუფში დაამარცხა: თბილისელი ზ. ბახტაძე (30 წამში), ცხინვალელი გ. ტუაევი, თბილისელი ი. ასპანიძე (ორივე — 5-5 წამში), შემდეგ ასევე თბილისელი მოჭიდავე თ. გავარდაშვილი (2 წუთსა და 30 წამში) და ყვარლელი ე. დავითაშვილი (1 წუთსა და 50 წამში). ჩოჩიშვილმა ამ შეხვედრების მოგებას სულ რაღაც 5 წუთი მოანდომა. ეს დრო ქართულ ჭიდაობაში მხოლოდ ერთი შეხვედრისთვის განკუთვნილი პერიოდია.

ჭიდაობის კარგი ტექნიკა გამოავლინა ქუთაისელმა რ. მერკვილაძემაც, რომელმაც ქვეჯგუფში 30 წამში აჯობა ამ ტურნირის ყოფილ პრიზიორს, ყვარლელ ი. ბარკალაევს.

ფინალურ ასპარეზობაში ექვსი ფალავანი მონაწილეობდა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა არც აქ უღალატა თავის სტილს და ზედიზედ რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა, მათ შორის, ლაგოდეხელ ე. ბრეგვაძესთან (7 წამში) და მერკვილაძესთან (1 წუთში). ჩოჩიშვილის მეტოქეთაგან წმინდა დამარცხებას მხოლოდ თელაველი თ. წითელაური გადაურჩა.

II ადგილზე გავიდა მერკვილაძე, რომელსაც ჩოჩიშვილთან ერთად გადაეცა პრიზი საუკეთესო ტექნიკისთვის. III ადგილზეა წითელაური.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა ძლიერმა მოჭიდავემ ასპარეზობაში მონაწილეობაზე უარი თქვა. მათ მაგალითი უნდა აიღონ ოლიმპიური ჩემპიონისგან, რომელიც, დაღლილობის მიუხედავად, ხალისით დათანხმდა ტურნირში გამოსვლას. საყვედური უნდა გამოვთქვათ იმის გამოც, რომ აღნიშნული ტურნირის პარალელურად არ ჩატარდა ჭაბუკთა აბსოლუტური პირველობა, რომელსაც შარშან ჩაეყარა საფუძველი.

ვ. ქობელაშვილი.

• • •

სურათებზე: საქართველოს აბსოლუტური ფალავანი შ. ჩოჩიშვილი საპატიო ჯილდოთი; ოლიმპიური ჩემპიონი იოლად უმკლავდება თბილისელ ზ. ბახტაძეს.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

# რვაასამდე მოსწავლე...

ორ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა გორის მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადა, რომელიც საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

სპარტაკიადის პროგრამაში 7 სახეობა შედიოდა. პირველობისთვის რვაასამდე მოსწავლე იბრძოდა. შეჯიბრების დროს ბევრმა წარმატებით ჩააბარა მშდ ახალი კომპლექსით გათვალისწინებული ნორმატივებიც.

სპარტაკიადის ჩემპიონობა და ქალაქის განათლების განყოფილების გარდამავალი თასი წილად ხვდა მე-11 საშუალო სკოლის (ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. ქელეხსაშვილი) კარგად მომზადებულ კოლექტივს.

II და III საპრიზო ადგილებზე შესაბამისად მე-7 და მე-6 საშუალო სკოლების ნაკრები გუნდები გავიდნენ.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

# ხუთგზის გამარჯვებული II ადგილზეა

სსრკ 50

ამას წინათ სპორტკლუბ „სინათლისა“ და ტოპოგრაფიული ტექნიკუმის სპორტულ ბაზებზე ჩატარდა გეოლოგების საძიებელი სამუშაოების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. სპარტაკიადის პროგრამაში იყო შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში.

დაძაბულ ბრძოლაში გუნდური I ადგილი და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა № 4 წარმოებამ (ფიზკულტურული კოლექტივის ხელმძღვანელი ქ. გურიანოვი). II ადგილზე გავიდა გასული სპარტაკიადების ხუთგზის ჩემპიონი, გეოლოგიის სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიური ექსპედიციის გუნდი (ფიზკულტურული კოლექტივის ხელმძღვანელი ვ. გოგიშვილი). III ადგილი წილად ხვდა თბილისის ტოპოგრაფიულ ტექნიკუმს (ფიზკულტურის მასწავლებლები ქ. მიროტაძე და ქ. სალუქვაძე).

ვ. გოგიშვილი.

## სსრ კავშირის პირველობა

### უმაღლესი ლიგა

# 5-5 ქულით სამი გუნდია

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

ლენინგრადი. ადგილობრივმა „სპარტაკმა" საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტებს — ვოროშილოვგრადელ თანაკლუბელებს უმასპინძლა. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 72:60.

კაუნასი. გათამაშების ლიდერმა — ადგილობრივმა „ჟალგირისმა" სატურნირო ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა, ამჯერად ტარტუს „კალევი" დაამარცხა — 90:76.

● ●

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი" | 5 | 5 | 0 | 422—365 | 5 |
| „დინამო" (თბ.) | 6 | 5 | 1 | 434—407 | 5 |
| ცსკა | 6 | 5 | 1 | 493—429 | 5 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 5 | 3 | 2 | 348—319 | 3 |
| „დინამო" (მოს.) | 5 | 2 | 3 | 374—372 | 2 |
| „სტროიტელი" | 6 | 2 | 4 | 422—449 | 2 |
| ასკ | 5 | 2 | 3 | 302—348 | 2 |
| რტი | 5 | 2 | 3 | 352—365 | 2 |
| „კალევი" | 6 | 1 | 5 | 401—455 | 1 |
| „სპარტაკი" (ვოროშილოვგ.) | 5 | 0 | 5 | 342—381 | 0 |

# მედეო კვლავ მწყობრშია!

ალმა-ათა, 28 დეკემბერი. მედეოს ხეობაში საზეიმოდ გაიხსნა სტადიონი ხელოვნური საციგურაო ბილიკებით. ამ შესანიშნავი სპორტული-ბაზის გახსნაზე მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. კუნაევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი და სხვა ოფიციალური პირები.

ზღვის დონიდან 1691 მეტრ სიმაღლეზე მდებარე საციგურაო ყაზახეთის სსრ დამსახურებული არქიტექტორის ვ. კაცევის პროექტით ორ წელიწადში აიგო, თუმცა გეგმით ოთხ წელიწადში უნდა აშენებულიყო. მისი ფართობია 10,5 ათასი კვ მ. მძლავრი სამაცივრო დანადგარები საშუალებას გვაძლევს „რეკორდების ფაბრიკა" წელიწადში 8 თვეს გვემსახურებოდეს.

გაიმართა შეჯიბრებები გახსნის პრიზზე, რამაც ახალი მიღწევები მოგვიტანა. ომსკელმა ვ. კრასნოვამ საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა, როცა 500 მ 43,1 წამში გაირბინა. წლეულს 500-მეტრიან დისტანციაზე საუკეთესო დრო აჩვენა მოსკოველმა ვ. მურატოვმა — 38,7 წამი.



სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის მიერ ჩატარებულმა წინასაახალწლო ტრადიციულმა გამოკითხვამ წლევანდელი სეზონის 10 ყველაზე პოპულარული საბჭოთა სპორტსმენი გამოავლინა. მათ ამ სურათებზე ხედავთ. მარცხნიდან — ზევით: ვ. ბორზოვი („ბურევესტნიკი", კიევი), ო. კორბუტი (საბჭოთა არმია, გროდნო), ნ. ავილოვი („დინამო", ოდესა), ლ. ბრაგინა („დინამო", კრასნოდარი), ვ. სანეევი („დინამო", თბილისი), ქვევით — ლ. ტურიშჩევა („დინამო", გროზნო), ა. მედვედი („ბურევესტნიკი", მინსკი), ვ. ალექსეევი („ტრუდი", შახტი), ვ. ვედენინი („დინამო", მოსკოვი), გ. კულაკოვა („ტრუდი", იჟევსკი).

# ბოტვინიკისა და კოტოვის აზრით

ამას წინათ ლენინგრადში პირველი ხუთწლედის სახელობის კულტურის სასახლეში გამოჩენილი დიდოსტატები მ. ბოტვინიკი და ა. კოტოვი ჭადრაკის მოყვარულებს შეხვდნენ. დამსწრეთ ძირითადად მხოლოდ ორი კითხვა აღელვებდათ: რატომ დამარცხდა ბ. სპასკი რ. ფიშერთან მატჩში და რომელ საბჭოთა მოჭადრაკეს შეუძლია დაგვიბრუნოს დაკარგული ტიტული?

● **რატომ დამარცხდა სპასკი?**

ა. კოტოვი: ჯერ ერთი, ფიშერი დიდი ძალისა და ერუდიციის მოჭადრაკეა, მეორეც, იგი უკეთესად მოემზადა მატჩისთვის პრაქტიკულად (სპასკი თითქმის არ მონაწილეობდა სერიოზულ ტურნირებში, ფიშერი კი ზედიზედ იგებდა შეჯიბრებებს), ფიზიკურად (ამერიკელი დიდოსტატი მრავალმხრივი სპორტსმენია, უყვარს ჩოგბურთი, ცურვა, ფეხბურთი, კრივი) და თეორიულად (სპასკი აშკარად შეცდა, როცა თავისი ძველი მწვრთნელი ბონდარევსკი შეცვალა. ახალმა მწვრთნელებმა ლაზიერის პაიკის პირველი სვლის წინააღმდეგ დაცვის გზასაც ვერ მიაგნეს).

მ. ბოტვინიკი: რა თქმა უნდა, ამ მატჩმა ბევრი გამოცანა შემოგვთავაზა, მაგრამ ფიშერმა იმიტომ როდი გაიმარჯვა, რომ გენიოსი მოჭადრაკეა. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა. ფიდე-ს პრეზიდენტი ეივე ძალიან აფარებდა ხელს ფიშერს. სასტარტო ციებ-ცხელებამ ამერიკელი დიდოსტატი, ნევრასთენიკი, წყობიდან გამოიყვანა, პირველი პარტია წააგო, მეორე ვერ ითამაშა, მაგრამ სპასკის რატომღაც მეტოქის დაკარგვისა შეეშინდა და დათანხმდა მესამე პარტიის დახურულ დარბაზში თამაშზე. მხოლოდ ამ მატჩის შემდეგ მივხვდი, რომ სპასკი სრულიადაც არ ყოფილა უნივერსალური მოჭადრაკე. იგი აშკარად მცდარი ტაქტიკით იბრძოდა, ყველა შემთხვევაში ცდილობდა პოზიცია გაეხსნა და ფიგურული თამაში დაეწყო, იმის მიუხედავად, საჭირო იყო თუ არა ეს.

● **მოეწყობა თუ არა სპასკი — ფიშერის მატჩ-რევანში?**

მ. ბოტვინიკი: რამდენადაც ვიცი, ფიშერი და სპასკი თანახმა არიან ითამაშონ. ფიდე-ს ჯერ არაფერი უთქვამს. წინათ მეც ვქადაგებდი მატჩ-რევანშის სასარგებლოდ, მაგრამ საჭიროა, რომ იგი წესებში შეიტანონ, რაც ჯერჯერობით არ გაკეთებულა. ამიტომ ეს შეჯიბრება უფლებამოსილი არ იქნება. ვფიქრობ, სპასკის რევანშის აღების დიდი შანსი არა აქვს.

● **ამბობდნენ თითქოს სპასკიზე ტელეპათიურ ზეგავლენას ახდენდნენ, მოქმედებდნენ გამა-სხივებით. რას იტყვით ამაზე?**

ა. კოტოვი: გამა-სხივები, რა თქმა უნდა, ბოდვაა. ამბობენ, ფიშერის სავარძელიც კი დეტალურად შეამოწმესო. მაგრამ, ჩემი აზრით, ფიშერი მაინც მოქმედებდა თავის მეტოქეებზე, როგორც ფანატიკური მისწრაფების, განსაკუთრებულად ძლიერი, მტკიცე ნებისყოფიანი პიროვნება.

მ. ბოტვინიკი: როგორც ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ღრმად დარწმუნებული ვარ — ქვეყანაზე საოცრებები არ არსებობს. ფაქტები ყველაფერს ხსნიან. ფიშერიც უნდა მივიღოთ ისეთი, როგორიც არის — ყველა დადებითი და უარყოფითი ნიშნით. მაშინ იგი გენიოსად არ მოგვეჩვენება. მატჩის მეორე ნახევარმა ცხადყო, რომ „გენიოს" ფიშერს არ შეუძლია „შეკვეთით" მოგება. მის თამაშსაც აქვს ხარვეზები: ორიგინალურ პოზიციებში ფიშერი ხშირად კარგავს ლოგიკურ ხაზს. საჭიროა შევძლოთ მისი საჭადრაკო შეზღუდულობის გამოყენება.

● **რამდენ ხანს გაძლებს ფიშერი ტახტზე? საბჭოთა მოჭადრაკეთაგან ვის შეუძლია მას ჩემპიონის ტიტული ჩამოართვას?**

ა. კოტოვი: ამერიკელმა დიდოსტატმა ბისკაიერმა მითხრა: ფიშერს შეუძლია ტახტზე 15 წელიწადს დაჰყოს, მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ პირველ სამ წელიწადსაც ვერ შეინარჩუნოს უპირატესობაო... მე მაინც ვფიქრობ, რომ შეიძლება ფიშერი სულ მალე დაამარცხოს სხვა მოჭადრაკემ. გენიოსი აბსტრაქტული ცნება როდია, გენიოსი გახლავთ დიდი ტალანტი გამრავლებული შეუპოვარ შრომაზე. ასეთი ნიჭიერი და შრომის მოყვარული მოჭადრაკის აღზრდა ჩვენი ჭადრაკის ფედერაციის ერთ-ერთი ამოცანაა.

მ. ბოტვინიკი: ჭადრაკი ჭადრაკი არ იქნებოდა, დაუმარცხებელი მოჭადრაკეები რომ არსებობდნენ. მაგრამ ძველი გვარდიის იმედი მაინც ძნელია იქონიო. ახალგაზრდებიდან ყველაზე უფრო მომწონს ძალიან თვითკრიტიკული მოთამაშე ანატოლი კარპოვი. იგი ჯერ ძალას იკრებს. მას ჯერ დაწყების საკუთარი თეორია არა აქვს, მაგრამ ხუთიოდე წლის შემდეგ უთუოდ შეუტევს საჭადრაკო ოლიმპს.

„ლენინგრადსკაია პრავდა" (12. XII 72).

# კონოპლიოვაც ითამაშებს

მოსკოვში დამთავრდა სამთაორწრიანი მატჩ-ტურნირი, რომელშიც ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო შეჯიბრების ორი საგზური გათამაშდა. ამ საგზურებს ერთმანეთს ეცილებოდნენ ქალთა 32-ე საკავშირო ჩემპიონატში II-IV ადგილებზე გასულნი — სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი ი. ლევიტინა (ლენინგრადი), ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) და ნ. კონოპლიოვა (მოსკოვი).

ერთ საგზურს კოზლოვსკაია ვადამდე დაეპატრონა. მან 2,5 ქულა მოაგროვა. მეორე საგზურის ბედი კონოპლიოვა — ლევიტინას ბოლო ტურის შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. ეს შეხვედრა ორდღიანი ბრძოლის შემდეგ, 73-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა. კონოპლიოვამაც 2,5 ქულა დააგროვა და საზონათშორისო ტურნირში თამაშის უფლებაც მას ხვდა.

ლევიტინამ მხოლოდ 1,5 ქულა მოაგროვა.

ამრიგად, საზონათშორისო ტურნირში, რომელიც 1973 წლის აგვისტო-სექტემბერში გაიმართება, სსრ კავშირიდან ითამაშებენ ნ. ალექსანდრია, ტ. ზატულოვსკაია, ვ. კოზლოვსკაია და ნ. კონოპლიოვა.

# იუბილეს ეძღვნება



თეთრები იგებენ

ასუჯრიანი შაშის ეს კომპოზიცია თბილისელმა მოშაშემ, ოსტატობის კანდიდატმა ვ. ინწკირველმა შეადგინა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნა.

შეგახსენებთ, რომ, რუსული შაშისგან განსხვავებით, ასუჯრიან შაშში სამი ასეთი წესია: 1. თუ ორი და მეტი შაშის აყვანის შესაძლებლობა შეიქმნა, საჭიროა ყველაზე მეტის აყვანა; 2. თუ აყვანისას შაში მარბიელად გარდაქმნის უჯრაზე მოხვდა, მას, როგორც მარბიელს, აღარ შეუძლია აყვანა განაგრძოს; 3. თუ გასვლისას მას უბრალო შაშის წესით მეტოქის შაშის აყვანა შეუძლია, მაშინ უნდა განაგრძოს აყვანა, ოღონდ თავად უბრალო შაშად დარჩება.

# დაწინაურდნენ კიეველები

მოსკოვსა და ბაქოში დამთავრდა სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა XI ჩემპიონატის პირველი წრის I ეტაპის მატჩები. ჩემპიონატს ქულის დაუკარგავად ერთპიროვნულად ლიდერობს კიევის „სპარტაკი" (8 ქულა). მომდევნო ადგილებზე არიან ბაქოს სპორტული ნაწარმის ფაბრიკა, კიევის № 3 სახლმშენებელი კომბინატი (7-7), მოსკოვის „ლუჩი", ლენინგრადის „პეტროგრადეცი", კაუნასის „ჟალგირისი" (4-4), სვერდლოვსკის „კალინინეცი", კიშინიოვის „ისკოჟი", მინსკის „ტექნოლოგი" (2-2) და ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სვერდლოვსკი) — 0.

სტატისტიკის მოყვარულებს ვთავაზობთ I ეტაპზე გამართული შეხვედრების შედეგებს:

მოსკოვი. „სპარტაკი" — „ჟალგირისი" 15:9, „ისკოჟი" — „ლუჩი" 16:26, „ჟალგირისი" — „ისკოჟი" 19:16, „ტექნოლოგი" — „სპარტაკი" 9:17, „ისკოჟი" — „ტექნოლოგი" 19:14, „ლუჩი" — „ჟალგირისი" 16:18, „სპარტაკი"—„ისკოჟი" 19:16, „ტექნოლოგი" — „ლუჩი" 13:20, „ჟალგირისი"—„ტექნოლოგი" 12:13, „ლუჩი" — „სპარტაკი" 14:15.

ბაქო. „კალინინეცი" — „პეტროგრადეცი" 14:15, სპორტული ნაწარმის ფაბრიკა — № 3 სახლმშენებელი კომბინატი 13:13, № 3 სახლმშენებელი კომბინატი—„პეტროგრადეცი" 12:11, სპორტული ნაწარმის ფაბრიკა — პოლიტექნიკური ინსტიტუტი 13:9, პოლიტექნიკური ინსტიტუტი — „კალინინეცი" 6:11, „პეტროგრადეცი" — სპორტული ნაწარმის ფაბრიკა 8:14, პოლიტექნიკური ინსტიტუტი — № 3 სახლმშენებელი კომბინატი 8:14, „კალინინეცი" — სპორტული ნაწარმის ფაბრიკა 9:14, № 3 სახლმშენებელი კომბინატი — „კალინინეცი" 15:9, „პეტროგრადეცი" — პოლიტექნიკური ინსტიტუტი 17:12.

ხელბურთი

# [illegible]-72

## თბილისელი გოგონას წარმატება

● ლენინგრადი, 27 დეკემბერი. „დინამოს“ წარმომადგენლებმა — ლვოველმა ნ. მატკოვსკიმ და თბილისელმა ლარისა ფირალიშვილმა ერთმეტრიანი ტრამპლინიდან წყალში ხტომაში ურთულესი ფიგურების მთელი სერია შეასრულეს და ყველას აჯობეს აქ გამართულ საკავშირო ფინალურ შეჯიბრებაში. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ, აგრეთვე, ხარკოველი თ. გლაზაჩოვა და ალმაათელი ვ. ტოშჩენკო, რომლებიც საუკეთესონი აღმოჩნდნენ კოშკიდან ხტომაში.

● მოსკოვი, 28 დეკემბერი. იქ, სადაც მოსკოვის წრიული ავტოსტრადა მინსკის გზატკეცილს კვეთს, ნაშუადღევს ზემარათონული გარბენი დაასრულა ლენინგრადის სპარტაკელმა ნ. ზელოვმა. ცნობილმა სპორტსმენმა, ბევრი ზემარათონული გარბენის მონაწილემ, გემშენებელმა მუშამ ზელოვმა სტარტი თავისი საწარმოს ჭიშკართან აიღო 1 დეკემბერს. უკან დარჩა ტალინი, რიგა, ვილნიუსი, მინსკი, რუსეთის ფედერაციის ბევრი ქალაქი. და აი, ზელოვი საბჭოთა კავშირის დედაქალაქშია! მან ჩამოიტანა თავისი ამხანაგების პატაკი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად აღებულ ვალდებულებათა ვადამდე შესრულების თაობაზე. ლენინგრადელმა მძლეოსანმა 1956 კილომეტრი გაირბინა — დღეში საშუალოდ თითქმის 70 კმ.

● ფენიქსი (აშშ), 28 დეკემბერი. მოსკოვის ჰოკეისტთა ნაკრებმა აქ თავისი ამერიკული ტურნეს მეორე მატჩი ჩაატარა: ადგილობრივ სამოყვარულო გუნდ „ფენიქს რეინჯერსს“ შეხვდა. დაძაბული ბრძოლა მოსკოველებმა მოიგეს — 5:4. გამარჯვებულთაგან შაიბები გაიტანეს: ანისინმა (2), იაკუშევმა, შადრინმა და მიხაილოვმა.

## სიურპრიზი სტარტზე

მელბურნში, ავსტრალიის ღია ჩემპიონატის სტარტზევე მარცხის სიმწარე იწვნია სახელგანთქმულმა ჩოგბურთელმა, ამ ტურნირებში ოთხგზის გამარჯვებულმა, 38 წლის ავსტრალიელმა კ. როზუოლმა. იგი გათამაშების ბადეში პირველ ნომრად იყო განთესილი და გფრ-ის ჩოგბურთელთან კ. მაილერთან მოუწია შეხვედრა. გერმანელმა სპორტსმენმა ტიტულიან მეტოქეს ტოლი არ დაუდო და გაიმარჯვა ანგარიშით 6:2, 6:3, 6:2. მატჩის შემდეგ როზუოლმა განაცხადა, არ მახსოვს ტურნირიდან ასე ადრე გამოთიშვაო.

სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა ა. მეტრეველმა (№ 4) დაამარცხა მ. სენიორი (ავსტრალია) — 6:2, 4:6, 6:2, 6:2, ავსტრალიელმა ჯ. ნიუკომბმა (№ 2) — ჟ. ოლე (საფრანგეთი) — 6:2, 6:2, 6:2.

თბილისელი თ. კაკულია მერვედფინალის საგზურისთვის ავსტრალიელ ს. ბოლთან შეხვედრაში უპირატესობას ფლობდა (6:2, 6:4, 3:6), მაგრამ დაღამების გამო თამაში შეწყდა.

მეორე დღეს მეტრეველი შეხვდა ავსტრალიელ კეისს, გაიმარჯვა (4:6, 6:2, 6:2, 7:5) და მეოთხედფინალში გავიდა. ამ ეტაპზე მისი მეტოქე იქნება ახალზელანდიელი პერანი, რომელმაც მერვედფინალში ავსტრალიელ მასტერსს სძლია — 7:6, 3:6, 6:3, 7:5.

კაკულიამ ბოლთან გადადებული პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა (6:3), მაგრამ მომდევნო შეხვედრა, რომელიც მაილერთან გამართა, წააგო — 3:6, 6:7, 6:2, 3:6. გერმანელი ჩოგბურთელი მეოთხედფინალში ითამაშებს ნ'გოდრელთან (საფრანგეთი). ამ უკანასკნელმა მანამდე დაამარცხა ავსტრალიელი სტოუნი — 3:6, 7:5, 6:4, 5:7, 6:4.

ნიუკომბმა დაამარცხა ფრანგი გოვენი (6:1, 6:3, 6:3) და თანამემამულეს კარმაიკლს შეხვდება. კარმაიკლმა მოუგო ბარანის (უნგრეთი) — 6:3, 6:4, 2:6, 1:6, 6:3. კუპერმა დაამარცხა გილტინენი (ორივე — ავსტრალია) — 7:5, 6:2, 4:6, 6:7, 13:11 და მისი მეტოქე მეოთხედფინალში იქნება დომინგეს — პრუაზის (ორივე — საფრანგეთი) მატჩში გამარჯვებული. აღსანიშნავია, რომ მეთექვსმეტედფინალში დომინგესმა დაამარცხა ავსტრალიელი ალექსანდერი (7:6, 6:7, 3:6, 6:3, 11:9) და ოსტატური თამაშით მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ბაქოელმა ბირიუკოვამ დაამარცხა ავსტრალიელი უორლენდი (6:0, 6:1) და მერვედფინალში გავიდა. მეტრეველმა და კაკულიამ ფარ-ხმალი დააყრევინეს ავსტრალიელებს პეტმენსა და რეს — 7:6, 5:7, 6:4.

## პირველი ლაურეატები

ყაზახეთში, ჩიმბულაკის ფერდობებზე, დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა სამთოსათხილამურო სამჭიდში, სადაც ახალი სათხილამურო სეზონის პირველი და მიმავალი წლის ბოლო ოქროს მედლები გათამაშდა.

პროგრამის ბოლო სახეობა სპეციალური სლალომი იყო. ქალები 400-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა — 125 მ, 42 და 41 კარი) ასპარეზობდნენ. შეჯიბრების ლიდერმა, მოსკოველმა გ. შიხოვამ რისკს თავი მოარიდა და ამ სახეობაში საპრიზო ადგილის მიღმა დარჩა. სამჭიდში მას 13,25 საჯარიმო ქულა დაუგროვდა და ჩემპიონობა დაისაკუთრა. სამჭიდში ვერცხლის მედალი მიიღო ნ. მერკულოვამ (მოსკოვი) — 51,43 ქულა, ბრინჯაოსი — ა. ასკაროვამ (კემეროვო) — 51,72.

სპეციალურ სლალომში I ადგილი ტ. პერჩატკინამ (ბელორეცკი) მოიგო. ორი ცდით ტრასის გავლას მან 1.27,51 მოანდომა. II ადგილზეა მერკულოვა — 1.29,09, III — ნ. ხალზოვა (კემეროვო) — 1.29,50.

ვაჟთა სპეციალურ სლალომში იმარჯვა ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტმა ს. გრიშჩენკომ (98,00 წამი), რომელმაც ამ წარმატებით სამჭიდში ოქროს მედალი დაისაკუთრა (18,82 საჯარიმო ქულა). სპეციალურ სლალომში (ორივე ტრასის სიგრძე — 547 მ, სიმაღლეთა სხვაობა — 181 მ, 65 კარი) II ადგილზეა მ. ლოგინოვი (პერმი) — 98,47, III — მოსკოველი ვ. კოვალიოვი—98,90. სამჭიდში ვერცხლის მედალი კიეველ ვ. მარკინს ხვდა (42,62 ქულა), ხოლო ბრინჯაოსი — ასევე კიეველ ვ. სემიონოვს (59,83).

## წლის საუკეთესო ფეხბურთელია ე. ლოვჩევი

მოსკოვის „სპარტაკისა“ და სსრ კავშირის ნაკრების მცველი ე. ლოვჩევი 1972 წლის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელია.

ყოველკვირეულმა „ფუტბოლ-ჰოკეიმ“ მეცხრედ ჩაატარა ჟურნალ-გაზეთების, სააგენტოს, ახალი ამბების სააგენტოს, რადიოსა და ტელევიზიის საფეხბურთო მიმომხილველთა გამოკითხვა, რომლის მონაწილეთაგან მხოლოდ ყოველმა მესამემ მისცა ხმა ახალ ლაურეატს. უწინ ჟურნალისტები უფრო ერთსულოვანი იყვნენ — გასული კონკურსების ლაურეატები I ადგილების 50 პროცენტზე მეტს იღებდნენ და თვალსაჩინო სხვაობით იმარჯვებდნენ.

II ადგილი — წლევანდელ რეფერენდუმში კიევის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების მეკარე ე. რუდაკოვმა დაიკავა, ხოლო III — თბილისის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა და კაპიტანმა მ. ხურციძემ.

### • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •



## ფრანც ბეკენბაუერი — № 1

ცნობილმა ფრანგულმა საფეხბურთო ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ მეჩვიდმეტედ მოაწყო კონკურსი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად.

ევროპის წლევანდელ № 1 ფეხბურთელად აღიარებული იქნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების კაპიტანი ფრანც ბეკენბაუერი (მიუნხენის „ბაიერნი“).

მომდევნო ადგილებიც დასავლეთგერმანელ ფეხბურთელებს ხვდათ წილად — გ. ნეცერსა და გ. მიულერს. „ოქროს ბურთის“ შარშანდელი მფლობელი, ჰოლანდიელი ი. კრუიფი IV ადგილზე გავიდა.

* * *

სურათზე: ფ. ბეკენბაუერი ევროპის ჩემპიონის პრიზით ხელში.

### პირველია დეინა

პოლონეთში „წლის ფეხბურთელად“ ვარშავის „ლეგიის“ ნახევარმცველი დეინა აღიარეს. მან მწვრთნელებისა და ჟურნალისტების გამოკითხვისას 326 ხმა მოაგროვა. დეინა პირველად გახდა რესპუბლიკის № 1 ფეხბურთელი.

მომდევნო ადგილებზე არიან გორგონი (ზაბჟეს „გურნიკი“) და ხმიკევიჩი (ვარშავის „ლეგია“).

### დიდი უპირატესობით

მწვრთნელებისა და ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად ჩეხოსლოვაკიის № 1 ფეხბურთელად 1972 წლის სეზონში დიდი უპირატესობით აღიარებული იქნა გამოჩენილი მეკარე ვიქტორი (პრაღის „დუკლა“), რომელსაც ნაკრებში 35 მატჩი აქვს ნათამაშევი. ვიქტორმა 306 ხმა მიიღო.

276 ხმით II ადგილზე აღმოჩნდა მცველი ჰაგარა (ტრნავის „სპარტაკი“). III ადგილზეა ახალგაზრდა მცველი ნოვაკი (პრეშოვის „ტატრანი“) — 224 ხმა.

### მხოლოდ შვიდი...

ამ 17 გუნდიდან, რომლებიც 1967 წლიდან მოყოლებული მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატებში, ამჟამად არსებობას განაგრძობს მხოლოდ შვიდი. მაგრამ აშშ-ს ფეხბურთის ფედერაცია იმედოვნებს, რომ 1973 წლის ჩემპიონატს 10 გუნდის მონაწილეობით ჩაატარებს.

### მურის 500 მატჩი

ინგლისის ნაკრების კაპიტანი მური იშვიათ სპორტულ ფორმაშია. 1958-59 წლების სეზონიდან მოყოლებული, როცა პირველად გამოჩნდა „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ შემადგენლობაში, მურმა ინგლისის ჩემპიონატებში 500 მატჩი ჩაატარა. ნაკრების კაპიტანი ჯერჯერობით ჩინებულად გრძნობს თავს და სულაც არ აპირებს სპორტული კარიერის დამთავრებას.

## მოკლედ

**ბრაზილიის** ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ „პალმეირასი“ და „ბოტაფოგო“. ამ ქვეყანაში, როგორც ცნობილია, ეროვნული ჩემპიონატი განსხვავებული სისტემით ტარდება. კერძოდ, ფინალურ მატჩში „პალმეირასს“ ფრეც ყოფნის I ადგილის მოსაპოვებლად.

**იტალიის** ეროვნული ჩემპიონატის განვლილ ტურში, როგორც ვიტყობინებოდით, რომში თამაშობდნენ „რომა“ და „ინტერნაციონალე“. ვინაიდან თამაშის დროს სტადიონზე უწესრიგობა იყო, იტალიის ფედერაციამ რომის სტადიონს დისკვალიფიკაცია მისცა ორი მატჩით.

## ყველაზე ხანგრძლივი...

სპორტული სტატისტიკა მდიდარია საინტერესო ამბებით, კურიოზებით, მრავლის მთქმელი ციფრებითა და ფაქტებით.

როგორც ცნობილია, თანამედროვე სპორტის მრავალი სახეობა რამდენიმე ათეული და ზოგჯერ ასეული წლობითაც ვითარდებოდა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა წესი და კანონი არსებობდა. დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია 110-რაუნდიანი შეხვედრა კრივში, ან ჭიდაობაში 10-საათიანი შერკინება.

თუმცა, ამგვარი ფაქტები სპორტული სტატისტიკოსთვის ცნობილია. მაგალითად, თანამედროვე კრივის ისტორიას ახსოვს შეხვედრა, რომელიც 7 საათსა და 19 წუთს გრძელდებოდა. ეს ორთაბრძოლა შედგა 1893 წლის აპრილში ბოუნსა და ბურკეს შორის. 110-რაუნდიანი შეხვედრა იმით დამთავრდა, რომ მეტოქეებმა უარი თქვეს ბრძოლის გაგრძელებაზე. მაშინდელი წესების თანახმად, შეხვედრა გაუქმდა.

ნოკაუტით დამთავრებულ ორთაბრძოლებს შორის ყველაზე ხანგრძლივად უნდა ჩაითვალოს შარპისა და გროსბის შეხვედრა, რომელიც შედგა 1892 წლის თებერვალში ინგლისში. 77-ე რაუნდში (5 საათი და 6 წუთი) გაიმარჯვა შარპიმ.

ჭიდაობის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი შერკინება გაიმართა 1912 წელს სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებში. რუსეთის წარმომადგენლის მ. კლეინის ჭიდილი ფინელ ა. ასიკაინენთან 10 საათსა და 15 წუთს გაგრძელდა (თუ პაუზებს არ ჩავთვლით). ბოლოს კლეინმა ორივე ბეჭებით გააკრა ხალიჩას მეტოქე და გავიდა ფინალში, სადაც შვედ კ. იუჰანსონს უნდა შეხვედროდა. მაგრამ არაქათგაცლილმა კლეინმა მეორე დღეს ვერ შეძლო საჭიდაოდ გამოსვლა და გამარჯვება იუჰანსონს მიაკუთვნეს.

ამავე თამაშებში საშუალო წონის მოჭიდავეთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ შვედი ალგრენი და ფინელი ბიოლინგი. მათ 9 საათზე მეტ ხანს იჭიდავეს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეძლო წმინდა გამარჯვება. ბოლოს მსაჯებმა ჭიდილი შეწყვიტეს და ორივე მოჭიდავეს ვერცხლის მედლები მისცეს. ყოველივე ეს იმით იყო გამოწვეული, რომ, მაშინდელი წესებით, მეტოქენი მანამდე ასპარეზობდნენ, სანამ ერთი ბეჭებზე არ დასცემდა მეორეს.

არანაკლებ საინტერესოა ჩოგბურთელთა მატჩი, რომელიც 1920 წლის ოლიმპიურ თამაშებში (ანტვერპენი) გაიმართა. ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისელი ლოუ და იტალიელი ზევლენდი. მატჩი დაიწყო დღის 4 საათზე. ოთხსაათიანი ბრძოლის შემდეგ იგი მეორე დღისთვის გადაიდო. თამაში განახლდა დილით და დღის პირველ საათამდე გაგრძელდა. მსაჯებმა გამოაცხადეს 45-წუთიანი შესვენება. შემდეგ თამაში ისევ განახლდა. მატჩი, რომელიც საერთო ჯამში 17 საათს მიმდინარეობდა, ინგლისელის გამარჯვებით დამთავრდა.

მოჭადრაკეთა ოფიციალური შეჯიბრებების ისტორიაში ყველაზე გრძელი პარტიები ჩეხმა დიდოსტატმა ო. დურასმა ჩაატარა კარლსბადის საერთაშორისო ტურნირში (1907 წ.): მისი პარტია ტ. ვოლფთან 168 სვლას მოიცავდა. ექვსჯერ გადადებული პარტია 22,5 საათს გაგრძელდა და ვოლფის გამარჯვებით დამთავრდა. იმავე დურასმა სან-სებასტიანის 1911 წლის საერთაშორისო ტურნირში 161-ე სვლაზე წააგო დ. იანოვსკისთან.

ხანგრძლივობის რეკორდები მძლეოსნობაშიც არის აღნუსხული. ცნობილია, რომ 1935 წლის 25 მაისს 22 წლის ზანგმა სპორტსმენმა ჯესი ოუენსმა სიგრძეზე ხტომაში 15 სმ-ით გააუმჯობესა ძველი მსოფლიო რეკორდი, რომელიც 798 სმ იყო. 1960 წლის 13 აგვისტოს რალფ ბოსტონმა გააუმჯობესა ოუენსის რეკორდი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 821 სმ. გამოდის, რომ ჯესი ოუენსის რეკორდმა 25 წელიწადს, 2 თვესა და 18 დღეს იარსება.

თანამედროვე სპორტული შეჯიბრებებიდან ყველაზე დღეგრძელი აღმოჩნდა II ოლიმპიური თამაშები, რომელიც პარიზში მიმდინარეობდა 1900 წლის 14 მაისიდან 28 ოქტომბრამდე.

დაბოლოს, ყველაზე ხანგრძლივი სპორტული სასჯელის შესახებ. არგენტინელი ფეხბურთელი კარლო ჯერმანო თამაშის დროს მსაჯს შეეკამათა და ხელი გაარტყა. არგენტინის ფეხბურთის ასოციაციამ ჩხუბის ამტეხს დისკვალიფიკაცია მისცა... 99 წლით.

ბ. სტურუა.

● კამპალა, 29 დეკემბერი. უგანდაში თავიანთი ბოლო ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელებმა, რომელთა მეტოქე იყო ამ ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „პრაიზონი“. დაძაბულ ბრძოლას გოლი არ მოჰყოლია — 0:0.

● ბრატსკი, 29 დეკემბერი. ამ ქალაქის შემოგარენში მდებარე წარმტაცი მთის ფერდობზე მწყობრში ჩადგა სსრ კავშირში უდიდესი საციგაო ტრასა. მისი სიგრძე 1230 მეტრია, სიმაღლეთა სხვაობა — 130 მ. ტრასას 17 ვირაჟი აქვს. 1973 წელს ამ ყინულოვანი სარბიელის მეორე რიგი აშენდება. მუშაობას დაიწყებს სავარძლებიანი საბაგირო გზა, აიგება მაყურებელთა ტრიბუნები, მოციგავე ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის შენობა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.
უე 10358